ეროვნული ბიბლიოთეკა

ივლისი 1929 წ. № 2

JUILLET 1929 № 2

საქართველო

ორგანო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა

« SAKARTUELLO »

« LA GÉORGIE » Organe du Parti-National-Démocrate géorgien

ჩვენი პასუხი

ქვემოდ ჩვენ სავსებით და უცვლელად ვბეჭდავთ ემიგრაციის ერთის ჯგუფის «ბიულეტენს».

კაცმა სთქვას, რა საჭიროა,—მისმა შემთხზველებმა ისეთი მზრუნველობა გამოიჩინეს მის დარიგება-გავრცელებაში, რომ არა გვგონია, ვინმე გამორჩენოდეთ, რომ არ მიეღოს ამ ჯგუფის პოლიტიკურ აზროვნების ეს «შეუდარებელი» ნიმუში. პირადად ამ სტრიქონების დამწერს ერთის მაგიერ სამი ცალი ჩაბარდა ფოსტის საშუალებით, ალბად რომ ერთის მაგიერ სამჯერ დასცემოდა გულს ლახვარი.

ამ მანიფესტისებურ პოლიტიკურ ნაწარმოების დამწერთ ერთი სალანძღავი სიტყვა არ დასტოვეს უხმარებლად. რა არ გნებავთ: «მსუნაგი», «ქარაფშუტა», «ინტრიგანი», «მუხანათი», «მზაკვარი», «მოღალატე», ყველაფერს შეხვდებით ამ შესანიშნავს დოკუმენტში.

ჩვენ არა ვართ ჩვეული ამგვარ სახელწოდებათა ხმარებას და ამგვარ სტილს, მაგრამ რაკი თვითონ მოისურვეს ამ საზომებისა და სარწყავების ხმარება, ჩვენც იძულებულნი ვართ ამავე ზომით მიუზომოთ და ამავე სარწყავით მიურწყოთ, რაც ნამდვილ სამართლიანად ერგებათ და რაშიაც მოცილე არავინ არა ჰყავთ.

დავიწყოთ თუ გნებავთ იქიდგან, რომ გაქცეულებს გვიწოდებენ. სწორედ ამ მათგან შექმნილის ტერმინის თვალსაზრისით გავსინჯოთ, ვინ ვის ან რას გაექცა. ამის გამორკვევა იმასაც დაგვანახვებს, თუ სად უნდა ვეძიოთ სიყალბე და სიცრუე.

ჩვენს ოქმში ნათქვამია:

1. პრინციპი ეროვნულ ფრონტის მთლიანობისა მიღებული იყო საქართველოში, სადაც დამყარებულია მთელი სიმძიმე პარტიული მუშაობისა; ამიტომ იქ მებრძოლ ორგანიზაციის დაუკითხავად და მხოლოდ სამზღვარ-გარედ დროებით შექმნილ ორგანიზაციის მიერ გადალახვა ამ პრინციპისა ყოვლად შეუწყნარებელია.

იმ ძირითად დებულების შესახებ, რომ ეროვნული ფრონტი საქართველოშია შექმნილი და რომ საქართველოს დაუკითხავად აქ სამზღვარ-გარეთ დროებით შექმნილ ორგანიზაციას ამ პრინციპის დარღვევის უფლება არ ჰქონდა, ბიულეტენი კრინტსაც არა სძრავს და სიჩუმით უვლის გვერდს.

ამის მაგიერ ბიულეტენის ავტორები ჯერ ვითომდა კრიტიკით უდგებიან ცენტრის საქმიანობას.—ცენტრში კამარილია გამეფდა და ამ კამარილიამ დაუშვებელი და შეუწყნარებელი გარემოება შეჰქმნაო,—და ამ კრიტიკას დაასკვნიან: ჩვენი ცენტრში დარჩენა შეუძლებელი შეიქნა და ცენტრიდგან გამოსვლა დავადასტურეთო.

დაადასტურეს (sic), დიაღ, რადგან ეს საკითხი ერთის მოქნევით ერთმა პირმა გადასჭრა მხოლოდ. დიდი საკითხებისათვის ეროვნული და დამჯდარი მიდგომაც ასეთი უნდა!—

ამის შემდეგ ჯოხის ცხენებზე შემსხდარ ბალღებსავით რიხიანად იძახიან: «რაღას ამბობს ამ დიდის მოვლენის შესახებ «ოქმი»-ო.

ამ მოვლენას ოქმმა ღირსეული პასუხი გასცა კიდეც. ღირსეული, რადგან ლოღიკაზე, მორალზე და კანონიერებაზე დამყარებულს პასუხს ეთქმის მხოლოდ ღირსეული.

აი, ეს პასუხიც:

«კრება აღნიშნავს, რომ ეს კომიტეტი, რომელსაც ეწოდება «გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სამზღვარ-გარეთელი ბიურო», შემდგარი იყო 1925 წელს შეთანხმებით. ამ შეთანხმებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა პასუხისმგებელი სამზღვარ-გარედ მყოფი პარტიული წევრი, ე. ი. დამფ. კრების, მთავარი კომიტეტის და ადგილობრივი კომიტეტის წევრნი—სულ 15 კაცი, და კოოპტაციით მოწვეული კიდევ ორი-სამი პირი. ეგ შეთანხმება იყო აგებული უპირველეს ყოვლისა საერთო ეროვნულ ფრონტის დაცვის და გაძლიერების პრინციპზე. ეხლა ეს შეთანხმება დაირღვა. იგი არ არსებობს. ვინაიდან სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზების გამო. უფრო კი იმ ატმოსფერის გამო, რომელიც შეიქმნა ზოგიერთ წევრის მოღვაწეობის წყალობით, ამ კომიტეტიდან გავიდნენ 11 (თერთმეტი) პირი, იმათ შორის თვით თავმჯდომარეც. ცხადია, ის კომიტეტი, რომელიც დაარსდა მხოლოდ შეთანხმებით და რომელსაც არა ჰქონდა და არა აქვს სხვა რაიმე საფუძველი თავის არსებობისა გარდა ამ შეთანხმებისა, ეხლა ამ შეთანხმების მოსპობით მოისპო თვითონ. ეხლა კომიტეტი არ არსებობს.»

ვერ გაიგეთ ამ პასუხის აზრი? (თუ არ ისურვეთ მისი გაგება?) დავუბრუნდეთ ერთხელ კიდევ, რაკი ასე გნებავთ.

საქართველოში მყოფმა პარტიებმა,—კარგად ჩაუკვირდით ბ-ნნო პარტიის ლტოლვილნო წევრნო, თქვენს მიწა-წყალს, თქვენს ერსა და მის ტანჯვა-ვაებას მოშორებულნო, მასთან ყოველსავე კავშირს მოკლებულნო,—საქართველოში მყოფმა პარტიებმა თავიანთის ორგანიზაციების სახით დაადგინეს ის, რასაც ყოველ სულდგმულს ინსტინკტი უბრძანებს და უკარნახებს, ხოლო ადამიანს გონება: დიდის და საერთო უბედურობის წინაშე ყოველივე კერძოობისა, და მაშასადამე პარტიულისა, უკან დაყენება და მთელის ერის ერთსულად ქცევა, იმ ერთობის შეჰქმნა, რომელსაც «საერთო ფრონტის» სახელი დაერქვა.

ასეთი იყო სულისკვეთება და ამ სულისკვეთებით შექმნილი ნებისყოფა მთელის ერისა, რომელსაც ისეთი უბედურება, დაატყდა, რომლის უდიდესი არა იქნება რა.

ასეთია მისი ლოზუნგი იმ დრომდე, ვიდრე საქართველო ისევ თავისუფალი არ გახდება.

და თუ ეს ასეა, გაქცეულიც იმას ეთქმის, ვინც თავის ხალხის ამ მარტივსა და ნათელ ბძანებას გადაუდგება.

ჩვენ არა თუ არავის და არაფერს გავქცევივართ, არამედ მტკიცედ და ერთგულად ვასრულებთ მშობელ ქვეყნის ნებას და ვიცავთ იმ ერთობას, რომლის დაცვა დაგვავალა ჩვენმა ერმა და რომელსაც იზიარებს ჩვენი სვინიდისი და გონებაც.

გაქცეულები თქვენა ბძანდებით, ბატონებო; თქვენა ხართ. რომ დაარღვიეთ თქვენის ერის სურვილი, ნება და ბძანება.

«პარტია მუდამ იტოვებდა უფლებას საერთო ფრონტის პოლიტიკას კრიტიკით მისდგომოდა»-ო ბრძანებს თქვენი ბიულეტენი.

კრიტიკის უფლებას პარტია იტოვებდა; ძლიერ კარგი, მაგრამ თქვენ ხუთი-ექვსი კაცი; ცხრა მთას აქეთ გადმოკარგული, არც თქვენის ერისა და არც თქვენის პარტიის დღევანდელ მდგომარეობის არაფრის მცოდნენო, თქვენ კი რა შუაში ბძანდებით? ვინ მოგცათ უფლება პარტიის სახელით გააკეთოთ ის კრიტიკა, რომლის უფლება, თქვენისავე სიტყვით, პარტიას ეკუთვნის, პარტიას, რომელიც საქართველოშია და არა აქ; პარტიას, რომელიც ათიათასობით სთვლის თავის წევრებს, და არა თქვენ ხუთ-ექვს გადმოხვეწილს პარტიის წევრს. ან იქნება მოგყვიდათ პარტიის განაჩენი, საერთო ფრონტი დავშალეთ და თქვენც მანდ გასწყვიტეთ ურთიერთობა მთავრობასთან და სხვა პარტიების წევრებთანაო? ვის ან როდის მოუვიდა პარტიის ასეთი დადგენილება?

არავის და არასდროს. პარტიებმა და მათ შორის, ეროვნულ-დემოკ. პარტიამაც, შეჰქმნეს საერთო ფრონტი და მას შემდეგ სრულებით გასაგებ მიზეზების გამო დადუმდნენ და ჩვენს პარტიას არავითარი კრიტიკის ხმა, არავითარი ბძანება არ მოუწოდებია ჩვენთვის.

ყვირით და კრიტიკას ეწევით თქვენ, უპასუხისგებლო ხუთი-ექვსი კაცი, და გნებავთ თქვენ მიერ ნაწარმოები კრიტიკა და თქვენ მიერ ატეხილი განგაში პარტიას თავს მოახვიოთ და მისის სახელით გაასაღოთ და ამ სიყალბის ჩამდენი კიდევ ბედავთ და სხვებს უკიჟინებთ სიყალბეს!

ბიულეტენი*)

ქართულს ემიგრაციაში გავრცელდა ყოვლად უმსგავსო ფურცელი. «ოქმი», რომელიღაც კრებისა, ხელმოწერილი პარიზის კომიტეტიდგან სხვა და სხვა დროს გაქცეულ წევრების მიერ (გვაზავა-ზურაბიშვილი) და აღსავსე სიყალბით, ოქმს ხელს აწერენ აგრეთვე პარტიის ისეთი წევრნი და თანამგრძნობნი, რომელთაც საქმის გარემოება, რომელსაც ეხება «ოქმი» არ იციან და რომელთა შესახებ ირკვევა, რომ თუმცა კრებას დაესწრნენ, მაგრამ «ოქმის» გამოქვეყნების უფლება არავისათვის არ მიუციათ.

რათა ემიგრაციის შეცდომაში შეყვანას ბოლო მოეღოს, პარიზის კომიტეტს და საზღვარგარეთის ბიუროს თავის მოვალეობათ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

საქართველოს გ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არასოდეს არ უცქეროდა მთლიან ეროვნულ ფრონტში ყოფნას ისე, რომ მარტო ეს ფრონტში ყოფნა იყოს საკმარისი. მთლიანი ეროვნული ფრონტი პარტიისათვის პრინციპის საკითხი არის და ამ პრინციპს, როგორც ყველა ეროვნულ ძალების გაერთიანებას პარტია მუდამ იცავდა. მაგრამ რა საქმეს აკეთებს ეს ფრონტი, ან როგორ აკეთებს მას, ეს საკითხი უკვე პოლიტიკის საკითხი არის და პარტია მუდამ იტოვებდა უფლებას საერთო ფრონტის ამ პოლიტიკას კრიტიკით მისდგომოდა. ამიტომ თუ თვით მთლიანი ფრონტის იდეა უდავო იყო პარტიისათვის, უდავო არ იყო და უდავო არ არის დღესაც «ეროვნული ცენტრის» საქმიანობა, რომელიც აღმასრულებელი ორგანოა ამ ფრონტის და მთლიანი ფრონტის ნამდვილ მიზნებს უნდა ანხორციელებდეს.

ამით აიხსნება რომ ამ «ეროვნულ ცენტში» პარტიამ რამდენჯერმე წარადგინა ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება ამ საქმიანობაში თვალსაჩინო ცვლილების შეტანის შესახებ. «ეროვნულ ცენტრის» სტატუტის მიხედვით და თვით საკამათო საკითხების შინაარსის მხრივ. არა ლოიალური და საერთო ფრონტის იდეის უარმყოფელი ამ მოხსენებაში არაფერი იყო. «ეროვნული ცენტრის» მეთაურნი თითქოს იზიარებდენ ამ ცვლილებების აუცილებლობას, მაგრამ არასოდეს არ ანხორციელებდენ და პარტია იძულებული იყო რამდენჯერმე განემეორებია თავისი მოთხოვნილებანი. ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის უკანასკნელ მემორანდუმსაც, წარდგენილს ამა წლის იანვარში. თუ რა ზნე-ჩვეულებაა გამეფებული ამ ცენტრში და რა თვითნებურათ იქცევიან იმისი მეთაურნი, როგორ უფრთხიან ყველა საკითხებს და როგორ ემალებაინ ყველა მოვლენებს, რომელთაც საერთო ფრონტში ადგილი აქვთ, სჩანს იქიდანაც. რომ იანვარში წარდგენილი მემორანდუმის განხილვა ჯერ სულ არ უნდოდათ, მერე მხოლოდ აპრილში შეუდგნენ. მაგრამ ამ ნაძალადევ განხილვის დროსაც, მემორანდუმის გარშემო შეიქნა ისეთი ყოვლად დაუშვებელი და პარტიისათვის შეუწყნარებელი გარემოება, «ეროვნული ცენტრის» კამარილიამ იმდენათ გამოაშკარავა თავის ზრახვანი, თუ რითი სურდა მას მემორანდუმის გარშემო წარმოებული კამათის დამთავრება, რომ პარტიამ კამათის ამ დამთავრებას აღარ მოუცადა და პროტესტის ნიშნად «ეროვნულ ცენრი» დასტოვა.

დადგენილება გამოტანილი პარიზის კომიტეტის მიერ, ამის გამო, ამა წლის, აპრილის 21 ამბობს:

«გ. ეროვნულ.დემოკრატიული პარტიის საზღვარ-გარეთის ბიურო და პარიზის კომიტეტმა მოისმინა რა ბ-ნი გაბაშვილის მოხსენება საქართველოს ეროვნულ ცენტრში წარდგენილ მთლიანი ფრონტის რეორგანიზაციის პროექტის შესახებ და გაეცნო რა იმ პირობებს, რომელშიაც დაიწყო იმისი განხილვა, აცხადებს, რომ განხილვა საკითხისა ასეთ პირობებში მიუღებელი შეიქნა და ადასტურებს თავისი წარმომადგენელის განცხადებას პარტიის ეროვნული ცენტრიდგან გამოსვლისას».

ეს იყო აუცილებელი აქტი იმ ყოვლად აღმაშფოთებელი თვითნებობის წინააღმდეგ, რომელიც დაამყარეს «ეროვნულ ცენტრში» მისმა დიქტატორებმა, რაზედაც სხვა პარტიის წარმომადგენლებსაც არა ერთხელ მიუთითებიათ და რამაც «ეროვნული ცენტრი» გადაგვარებასა და სრულ დაშლამდე მიიყვანა. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ დღეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ამ ფრონტში აღარ არის.

რაღას ამბობს ამ დიდი მოვლენის შესახებ—«ოქმი?»

«ოქმის» ავტორები პარიზის კომიტეტის ამ ნაბიჯს უკა-

---

*) აი, სავსებით და უკლებლივ ის ბილიუტენი-მანიფესტი, რომელიც გამოსცა ემიგრაციის ერთმა ჯგუფმა და რომელსაც ეხება ზემოდ დასტამბული წერილი: «ჩვენი პასუხი». ვბეჭდავთ ამ «დოკუმენტს», რათა მკითხველს შეძლება მიეცეს ერთ-და-იმავე დროს წაიკითხოს ეს ნიმუში პოლიტიკურ მწერლობისა და ჩვენი პასუხი და თვითონ დასდოს ორთავეს ფასი.

რედ.

ამაზე შორს ადამიანის უდიერობა არასდროს არ წასულა.

დღიდან თავის დაარსებისა ეროვნულ-დემოკრატიულ სამზღვარგარეთელი ბიურო მტკიცედ ადგა ერთობის პრინციპს და დაუღალავად იცავდა საერთო ფრონტს. მართალია იყო ბიუროს ერთი წევრი, რომელიც იმ თავითვე სცდილობდა თავისიანები საერთო ფრონტიდგან გამოეყვანა, მაგრამ, ვერა თუ ვერაფერს გახდა თავის ცდაში, პირიქით, ბიურომ ისეთი სიმტკიცე გამოიჩინა, რომ ეს წევრი თვითონ ჩამოშორდა თავისიანებს და განზე გადგა.

ასე მიმდინარეობდა ჩვენი ბიუროს ცხოვრება 1927 წლამდე. ბიუროს სხდომებზე დროგამოშვებით ისმოდა ცენტრისადმი საყვედურები, მაგრამ ისინი არასდროს არ გადასცილებიან უბრალო საყვედურების ხასიათს და ფრონტის დატოვების საკითხი არასოდეს არ დასმულა.

1927 წელს პარიზში გაჩნდა ბ ნი ასათიანი და ჩამოსვლისათანავე არევ-დარევა შეიტანა ბიუროს ცხოვრებაში. ასეც უნდა ყოფილიყო. პარიზში ბ-ს ასათიანს დახვდა ორი ამბავი, რომელიც რა თქმა უნდა ცენტრისა და ფრონტისადმი სიყვარულს ვერ ჩაუნერგავდა გულში. ერთი ისა, რომ სწორედ ფრონტის საკითხის, და სახელდობრ ფრონტის დატოვების გამო, ბიუროს ჩამოშორებული დახვდა ისეთი ამხანაგი, რომელთანაც მას აკავშირებდა უპასუხისგებლო მუშაობა და მოღვაწეობა ისევ პარტიის სახელით, ისეთი მუშაობა, რომლის შესახებ, რამდენი არ ეცადა ბიურო, ანგარიში ვერასდროს ვერ მიიღო. მეორე ამბავი იყო ბ-ნ რამიშვილის წერილი.

აი აქედგან იწყება ისტორია იმ ინტრიგისა, რომელიც ზემოხსენებულ ჯგუფის ცენტრიდგან გამოსვლით დაბოლოვდა.

ჯერ ბ-ნი ასათიანი შეეცადა დაებრუნებინა ბიუროში თავისი ბიუროდგან გასული alterego. ბიურო არა თუ არ დასთანხმდა ამას, პირიქით ეს მისი გასული ამხანაგი, გამორიცხულად გამოაცხადა. მაშინ ბ-ნი ასათიანი თვითონაც განზე გადგა და სხვა ხერხებს მიმართა. მთელს ბიუროში არა გამოვიდა რაო? მაშ ცალკე წევრებს გადავიბირებო და მართლაც იმდენი მოახერხა, რომ ბიუროში «მცირე» ბიურო შექნა. ამ უკანასკნელმა ჯერ ბ-ნი ამირეჯიბი გამოიყვანა ცენტრიდგან, მერე ბ-ნი ზურაბიშვილი გადმოაყენა თავმჯდომარეობიდგან და თავმჯდომარედ აირჩია ამირეჯიბი, ხოლო ამის უარის გამო ისევ ზურაბიშვილს შესთავაზა დარჩენილიყო თავმჯდომარედ; შემდეგ ბ-ნი გვაზავა გადააყენა თავ-რის ამხანაგობიდგან და ბოლოს სხირტლაძე აიძულა თავი დაენებებინა ბიუროს სხდომებზე სიარულისათვის. ბიურო ისეთი შერჩეული გამოდგა, როგორც ეს ბ-ს ასათიანს უნდოდა და ამ შერჩეულმა ბიურომ კიდეც გაუმართლა იმედი,—ფრონტიდგან გამოსვლა დაადგინა და გამოვიდა კიდეც.

აქ არაფერია ასახსნელი და განსამარტავი. აბა, რა უფლება აქვთ ამ რთულს ინტრიგაზე აგებულ კომედიის მომქმედ პირთ ვისმე სხვას უკიჟინონ ინტრიგანობა?

ბიულეტენი რომ გარეშე ძალას უჩივის პარტიაში რღვევის შემოტანას, ერთ წამს მაინც დაუფიქრდეს იმას, გარეშე ძალის მეცადინეობა რა საჭიროა იქ, სადაც რღვევის ელემენტი შიგ ორგანიზაციაში ეგულვება.

ეხლა, იკითხოთ იქნება, რა მოხდა საიმისო ცენტრში, რომ აქაურმა ეროვნულ-დემოკრ. ბიუროში, რომელსაც ასე ხელოვნურად ჩამოაშორეს ყველა საერთო ფრონტის მომხრე და ბიუროს შემადგენლობა დაიყვანეს «მცირე ბიუროს» შემადგენლობამდე, ასეთი ნაბიჯი გადადგა.

არაფერი, სრულებით არაფერი!

ზემოდ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ, თუმცა ეროვნ.-დემოკრ. ბიუროში ზოგჯერ გაისმოდა ცენტრისადმი საყვედურები, ბიურო მაინც მტკიცედ ადგა საერთო ფრონტის პრინციპს და რომ ასეთი ვითარება 1927 წლამდე უცვლელად იყო დაცული. როდესაც ჩვენ ვამბობთ, ცენტრში არაფერი მომხდარა ისეთი, რასაც შესძლებოდა ფრონტის დასაშლელი რაიმე საბუთი მიეცა ჩვენ ბიუროსათვის, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ეს ხანა,—1927 წლიდგან ამა წლის იანვრამდე.

აი, ამ ხნის განმავლობაშია რომ არაფერი მომხდარა რა ცენტრში, რისი მომიზეზებაც ჰყოფილიყოს შესაძლებელი, იოტის ოდენა არაფერი, გარდა იმისა, რასაც ამბობს ცენტრში წარდგენილი წინადადება—«ულტიმატუმი»: ცენტრის შემოსავალი გაგვიყავიო, წილი დაგვიდეთ შიდაო!

ცენტრს რომ მხოლოდ და მხოლოდ ეს წინადადება მიეღო, ბილიუტენების ავტორები დღესაც ფრონტში იქნებოდნენ.

მოდით ეხლა და ნუ იკითხავთ-—ვინღა ყოფილან მსუნაგები, ვის ბანაკში ვეძიოთ ამ სახელის ღირსნი?

კმარა! ვისაც თვალი აქვს ხედვად და ყური სმენად, ის ადვილად გაარჩევს სიმართლე-სიცრუეს, ხოლო ერთი გვსურს ვიკითხოთ, ვის ემსახურებიან, ვის უწყობენ ხელს, ვის წისქვილის ღარებში გადუგდიათ წყალი ამ ფრონტის გამტეხთ და დამშლელთ, ვის რიგებში დგებიან და ვის ფრონტს ამაგრებენ?

ჩვენს მოამხანაგე პარტიებს და მათ შორის იმას, რომლის წიაღიდგან გამოვიდა მთავრობა, მომაკვდინებელი ცოდვაც რომ მიუძღოდეთ ჩვენს წინაშე, იმ შემთხვევაშიაც ვალი გვდევს, ვსძლიოთ ჩვენი გულის წყრომა და მათთან ერთობა არ გავსწყვიტოთ, რათა ჩვენის ერის და ჩვენის ქვეყნის მტრის გული არ გავახაროთ და ის წადილი ნატვრა არ გაუმართლოთ, რომელიც დღე და ღამ მოსვენებას არ აძლევს და ძილს უფრთხობს. ოღონდ თუ ეს პარტიები და მთავრობა იმავ აზრს ემსახურებიან და იმავ სურვილით არიან გამსჭვალულნი, რაც ჩვენ; თუ მათი ცდა, მეცადინეობა მიმართულია იმ ერთად ერთის მიზნის მისაღწევისადმი, რომელიც ჩვენც უდიდეს და უწმინდეს საგნათ დაგვისახავს, მაშინ ფრონტის დაშლა ხომ რაღაც ისეთ დანაშაულობათ იქცევა, რომელსაც სახელიც კი არ აქვს.

ჩვენი ერი, მისი მიწა-წყალი, იქ დარჩნენ, შორს, საქართველოში, და მათთან დარჩა ყველა ის შინაური საქმეც, რომლის მოწყობაშიაც შეუძლია თავი იჩინოს პარტიულმა აზრთა შეხლა-შემოხლამ.

აქ კი ჩვენის ქვეყნის შვილებს არა გვაქვს რა გასაყოფი, გარდა იმ ერთად-ერთის დარდისა, რომელიც გამოგვაყოლა ჩვენმა უბედურების ქვეშ მოყოლილმა ქვეყანამ, ჩვენმა ტანჯულმა ერმა.

გულსა და ყურში მხოლოდ ერთი გამოძახილი ჩაგვრჩენია, ერთი კვნესა.

მიშველეთ, დამიბრუნეთ სიცოცხლე, დამიბრუნეთ ჩემი დაკარგული თავისუფლება!

და ასეთ წამს ვინ შეიტანს რღვევას ეროვნულ ერთობაში, განხეთქილებას და გათიშვას ერთ და იმავე ქვეყნის შვილებს შორის, თუ არა...

მაგრამ არა! რაც უნდა ატოკდეს გული [illegible] წყრომამ არ მოიცვას გული, არა, იმ სიტყვას, რომელსაც [illegible]ვილათ ისვრით თქვენ, ბიულეტენის დამწერნო, ჩვენ არ ვიხმართ.

ჩვენ არ დაგწამებთ ქვეყნის ღალატს. თქვენი ბრალი და უბედურება ის არის, რომ ისეთი დიდებული წამი, რომელსაც განიცდის ჩვენი ერი და მასთან ერთად ყველანი ჩვენ, ზოგს თქვენგანს გამოუყენებია თავის პირად ანგირიშების გასასწორებლად, დანარჩენები კი მათ აყოლიხართ და ემსახურებით ამ კერძო ამბიციებს, მის მაგიერ, რომ მთელი თქვენი ძალ-ღონე თქვენის ქვეყნის საქმეს, მის შველას მოახმაროთ.

◆

მოსკოვის პროტესტი

8 ივნისს მოხდა თბილისში «სახალხო» მანიფესტაცია. ამ ამბავმა ყველა გააკვირვა და გასაკვირიც არის, ვინაიდან ყველამ იცის, რომ ასეთი ხილი არ არის ხშირი საბჭოთა იმპერიაში, სადაც თავისუფლება არ არსებობს და ყოველი მანიფესტაცია სასტიკად აღკრძალულია. სანახაობა მართლა იყო არა-ჩვეულებრივი: მოგროვდა უეცრად ახალგაზდათა ბრბო, სიცილითა და ლაზღანდარობით გაიარა ქუჩა, მიაწყდა პოლონეთის საკონსულოს და დაუშინა ქვები. ჩაჰლეწეს ფანჯრის შუშები და მაგარი სიტყვებიც შემოუკურთხეს პოლონეთს. ამ გმირული საქმის შემდეგ ბრბო მშვიდობიანად დაიშალა. ადგილობრივი პოლიცია ჩუმად იყო და ღიმილით შეჰყურებდა ამ თვალის სეირს. მეორე დღეს თბილისის და მოსკოვის გაზეთებმა დიდის რიხით და ზეიმით ამცნეს ქვეყნიერებას ეს «გულის წყრომა ქართველი ერის პოლონეთის წინააღმდეგ».

რას ჰნიშნავს ეს კომედია?

მტკიცება არ უნდა იმას, რომ საბჭოთა სისტემა დიდი ხანია დამარცხდა, ეხლა იმას გამოსავალიც არა აქვს, ის იწგრევა და ინგრევა ისე, რომ იმედ-გაცრუებული, მოტყუებული და გამწარებული ხალხი მზად არის გამოაჩინოს თავის საშინელი ბრჭყალები... მდგომარეობა საშინელია, აღთქმა და დაპირება ვერა ჭრის, კაპიტალიზმი არ ემხობა, სამოთხე არა სჩანს... ამიტომ ბოლშევიკები ეხლა მიმართავენ «კომედიებს». ამის მაგალითია თბილისის მანიფესტაცია.

მართლა, რითი აიხსნება ის, რომ აგერ რვა წელიწადია, უცხოეთში გადახვეწილი ქართველობა ყოველ წელს, 26 მაისს, ჰმართავს თავის ეროვნულ დღეობას და რუსეთის მთავრობას კი მხოლოდ ეხლა მოაგონდა პროტესტის გამოცხადება?! სად იყო აქამდე? რაღა ეხლა მოაგონდა, რომ 26 მაისი, დღე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, არის საქართველოს ეროვნული დღეობა და ამ სახელოვან დღეს ვერავინ ამოშლის მისი ისტორიიდან? საქმე სწორედ იმაშია, რომ აქამდე კიდევ შეიძლებოდა რუსის ხალხის მოტყუება სხვადასხვა აღთქმით და დაპირებებით, ეხლა საჭირო გახდა სხვა ღონისძიება...

რუსეთის მთავრობამ პროტესტით მიჰმართა პოლონეთის მთავრობას იმის გამო, რომ ვარშავაში გამართული იქმნა 26 მაისის დღეობა და ამ დღეობას დაესწრნენ პოლონეთის ოფიციალური პირები. მიზანი ამ მოულოდნელი პროტესტისა ერთია: ააფეთქოს რუსის ხალხში მისი მარადიული მძულვარება პოლონეთის წინააღმდეგ; ამავე დროს მოსკოვის მთავრობა აწყობს თბილისში მანიფესტაციას, რომ ვითომდა ქა-

---

ნ ინოთ სთვლიან. პარიზსს კომიტეტს გაუქმებულად აცხადებენ. პარტიას რაღაც ახალ და უკანონო «საზღვარ გარეთის კომიტეტს» ახვევენ თავზედ და პარტიის წარმომადგენლათ თვითონ მიდიან მთლიან ფრონტში. ვისი სახელით? სად შესდგა ეს განჩინება? ამ მოღალატურ და დეზორგანიზატორულ აქტს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არასოდეს არ შეურიგდება! «პარტიის დამაარსებელთა», «პასუხისმგებელთა» —როგორც უწოდებენ თავისთავს «ოქმის» ავტორები და სხვა ტიტულების ამ ხალხის თავშეუდებელ ნაბიჯში ყველაფერი ღრმად ანტიპარტიული, უზნეო და ცუღლუტურია. თუ იყვნენ პარიზის კომიტეტის ასეთი წევრნი, რომელნიც კომიტეტის ამ ნაბიჯს არ იზიარებენ, სად არის მათი პროტესტი კომიტეტში? რატომ არ გამოცხადდენ კომიტეტში, რატომ არ მოითხოვეს მთელი ვითარების განმარტება და თუ კომიტეტის ეს ნიბიჯი პარტიის სურვილების წინააღმდეგ იყო გადადგმული—მისი გადასინჯვა?! ასე ხდება ყოველს პარტიაში, ეს არის მოვალეობა პარტიის ყველა წევრისა. მაგრამ «ოქმის» ავტორებმა, პარტიულად ამ სავალდებულო წინასწარ ზომებს გვერდი აუხვიეს, პარტიას და პარიზის კომიტეტს არაფერი არც ჰკითხეს, არც უთხრეს, მოღალატურად პირდაპირ «ეროვნულ ცენტრში» გაიქცნენ და და მსუნაგურად იმ ადგილებზე დაბძანდენ, რომელიც პარტიამ დასტოვა. პარტია ღირსეულად შეაფასებს მათ საქციელსაც ვინც ეს «ცენტრი» ბრძოლით დასტოვა და მათ პოლიტიკურ ზნეობასაც, ვინც ეს სიხარბე გამოიჩინა. ეს ქარაფშუტული, ყოველივე პარტიულ ღირსებას და პოლიტიკურ ტაქტს მოკლებული საქციელი თავასთავათ მოწმობს რა წარმოდგენა ჰქონიათ პარტიის ამ «დამაარსებლებს» ან პარტიაზედ, ან მთლიან ეროვნულ ფრონტზედ. თუ კიდევ იყო ეჭვი, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წამოსვლით «მთლიანი ფრონტი» აღარ არსებობს, მათმა ასეთმა მისვლამ ეს ეჭვიც მოსპო. ასეთ მთლიან ეროვნულ ფრონტს არავითარი პოლიტიკური და ზნეორივი მნიშვნელობა აღარ აქვს.

და სწორედ აქ აშკარავდება ის ყოვლად უმსგავსო და აღმაშფოთებელი ჩვეულება, რაშიაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მუდამ სდებდა ბრალს ამ «ეროვნულ ცენტრში» გაბატონებულ კამარილას. პარტია სწორედ ამ კამარილიას ებრძოდა. პარტიის ამ «ეროვნული ცენტრიდგან» წამოსვლა ამ ბრძოლის შედეგი იყო და იმის ნაცვლად, რომ კრიზისის დასაბოლავებლათ «ეროვნულ ცენტრს» მთლიან პარტიასთან გაემართა მოლაპარაკება, მისმა კამარილიამ ცალკე პირებთან ამჯობინა ლაპარაკი, «ფრონტში» ეს უწყინარი ხალხი აიყვანა, თავისი საქმე «გამოიკეთა» და პარტიაში რღვევის შეტანას შეეცადა. ასე ესმით ამ ვაჟბატონებს მთლიანი ეროვნული ფრონტი! მათ არ უნდათ მთლიანი პარტიები, რომლებიც მართლა ძლიერ ეროვნულ ფრონტს შექმნიდნენ. მათ უნდათ დაფუშული პარტიები და მაგარი კამარილია. ჩვენმა ყოფილმა ამხანაგებმა თავისი უგვანო საქციელით ეს კამარილია გაამაგრეს და არა მთლიანი ფრონტი. ამ კამარილიის დავალებით თავისი პარტიის დანგრევასაც შეეცადნენ. მაგრამ პარტია ამ ანკესზედ არ წამოეგება და ასეთ მზაკვრობას სრულის მთლიანობით აღუდგება წინ.

პარიზის კომიტეტი და გ. ეროვ.-დემოკრატიული პარტიის საზღარ-გარეთის ბიურო აცხადებს, რომ დგომა ასეთ საერთო ფრონტში, რომლის მეთაურები ასე სისტემატიურად შლიან ქართულ პოლიტიკურ მებრძოლ ორგანიზაციების მთლიანობას და ქართველი ერის წმინდა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის ასე მოურიდებლად და მუხანათურად ახვევენ თავის ეგოისტურ ინტრიგების ქსელში—დანაშაული იქნებოდა ქართველი ერის წინაშე. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აცხადებს, რომ იმისი მებრძოლი დროშა პარტიაში ასვენია და დღეს «ეროვნულ ცენტრში» აღარ იმყოფება. პარტია აცხადებს, რომ იმის დაუკითხავად მაგრამ მისი სახელით ამ ცენტრში მისული პირები მხოლოდ უდროშო ემიგრანტები არიან, რომლებმაც ამ უგვანო საქციელით თვითონ ჩამოკვეთეს თავის თავი პარტიას, იგი არასოდეს არ შეურიგდება არც მათ წარმომადგენლობას ფრონტში, არც ასეთ მთლიან ეროვნულ ფრონტს, რომელიც დღეის იქით დარღვეულია, ვინაიდგან ეროვნულ-დემოკრატიული პარტია—ამ ფრონტის შემქნელი და იმისი არსებობის უძლიერესი ფაქტორი—ამიერიდგან იქ აღარ არის. პარტია უბრუნდება დამოუკიდებელ მუშაობას, რათა კვლავ აღადგინოს ის საღი მთლიანი ეროვნული ფრონტი, რომლის ემიგრაციაში განხორციელება ამ კამარილიამ შეუძლებელი გახადა და ასე მზაკვრულად დამარხა.

პარიზის კომიტეტი და საზღვარ-გარეთის ბიურო.

პარიზი, 25 მაისი. 1929 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველი ერიც წინაალმდეგია თავისივე თავისუფლების და თავს მეტად ბედნიერად ჰგრძნობს რუსეთის ბატონობის ქვეშ... პირველი არის თავხედობა, მეორე—უსინდისო კომედია.

მოსკოვის მთავრობას დაავიწყდა, რომ პოლონეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა და მის შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება უცხო სახელმწიფოს არა აქვს. სწორედ ამიტომ მიიღო მან პასუხი როგორიც ეკადრებოდა; რუსეთის წარმომადგენელს, ბ. ბოგომოლოვს, უჩვენეს კარი და უთხრეს: «მიბრძანდით! ვის და როგორ ვუცხადებთ ჩვენ სიმპატიას, ეს ჩვენი საქმეა და არა თქვენიო!» საცოდავი ბოგომოლოვი შერცხვენილი და კუდამოძუებული წამოვიდა შინ.

მოსკოვს დაავიწყდა ისიც, რომ საქართველო ცნობილია როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო თითქმის ყველა სახელმწიფოების მიერ, მათ შორის თვით რუსეთის მიერაც. ეს ცნობა არის ერთნაირი საერთაშორისო შეთანხმება, რომლის სავალდებულო ძალა ეჭვის გარეშეა ყველა განათლებულ ქვეყნებისათვის. მაშასადამე, თუ იყო რაიმე დავა საქართველოს და რუსეთის შორის, ის უნდა გადამწყდარი ყოფილიყო წესიერად, თანახმად საერთაშორისო სამართლისა, და არა ვერაგული თავდასხმით და საქართველოს ტერიტორიის დაკავებით რუსეთის ურდოების მიერ. მიუხედავად ამ საერთაშორისო შეთანხმებისა და იქიდან გამომდინარე ვალდებულობისა, რუსეთი მაინც თავს დაესხა საქართველოს და დაიპყრო მისი მიწა-წყალი, ეს აბრაგობა დარჩება აბრაგობად, იგი ვერ წაშლის ქართველი ერის სუვერენულ უფლებებს და ვერასოდეს ვერ მოუხვეჭს თვით აბრაგობას უფლებრივ სანქციას. მით უფრო გასაკვირია მოსკოვის თავხედობა: იგი ჰჩემულობს კონტროლი გაუწიოს ქართველების ცრემლებსა და სიხარულს საზღვარ-გარეთ! ის ცდილობს დაამტკიცოს, ვითომ ეს ცრემლი თუ სიხარული სულ არ შეეფერება ქართველი ერის ნამდვილ სულისკვეთებას.

ტყუილი ცდაა! ის ერი, რომელმაც გაიღო ამდენი სისხლი თავის დამოუკიდებლობის დასაცველად, რომელმაც, 1924 წელს, გმირულად აღმართა ხმალი შემოჭრილ მტრის გასარეკად, რომელიც ეხლაც იბრძვის (ამის საბუთია—აჭარის აჯანყება), და ათასობით სწირავს თავის უკეთეს შვილებს თავის ეროვნულ ღირსების დასაცავად, ის ერი და მისი გაუტეხელი ნებისყოფა დიდი ხანია ცნობილია მთელს ევროპაში. საბჭოთა რუსეთს შეუძლია, რამდენიც უნდა, ჰბეჭდოს რეზოლიუციები, აატეხინოს ქუჩაში ყვირილი და განგაში თავის გადაცმულ და მომზადებულ ჩეკისტებს, ჩაამტვრევინოს ზოგჯერ ფანჯრებიც კი პოლონეთის თუ სხვა რომელიმე სახელმწიფოს საკონსულოში,—სულ ეს სამარცხვინო კომედია შეცდომაში ვერავის შეიყვანს, სულ ეს მხოლოდ ზიზღსა და აღშფოთებას გამოიწვევს ყველგან, ყოველ განათლებულ ქვეყანაში, სადაც ძალიან კარგად იციან, თუ რა ბედნიერებას წარმოადგენს რუსეთის ოკუპაცია წამებული ქართველი ერისათვის.

იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელიაო. თბილისში მოწყობილი განგაშსა და აურ-ზაურს უქმად არ ჩაუვლია. მას ჰქონდა უსათუოდ თავისი გამოძახილი მთელს საქართველოში. ეჭვი არ არის, ხალხმა გაიგო, რომ ის სრულებით დავიწყებული არ არის, რომ მას ჰყავს ბევრი მოსარჩლე და თანამგრძნობი ბევრ განათლებულ ქვეყნებში, და ეს სიმპატია, რომელიც ყოველ დღე იზრდება მთელს მსოფლიოში, დაბოლოს აიძულებს რუსეთის ძალმომრეობას ჩადგეს უფლებისა და პატიოსნების ფარგლებში.

იმედი გვაქვს, ეს დროც შორს არ არის.

◆

პროტესტი მოსკოვის პროვოკაციის წინაამდეგ

1. საფრანგეთში.

ამა თვის 7 პარიზში შესდგა საფრანგეთის ქართველთა ასოციაციის საგანგებო კრება იმ დემონსტრაციების წინაალმდეგ, რომელნიც მოაწყვეს ოკუპანტებმა საქართველოში ქართველი ერის სახელით. ასოციაციის თავმჯდომარემ დ. სხირტლაძემ მოკლედ გააცნო დამსწრეთ საქმის ვითარება. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ა. ასათიანმა, გ. გვაზავამ, ი. გობეჩიამ, დ. ვაშაძემ, ი. ოთხმეზურმა, ქავთარაძემ და დ. ხარისჭირაშვილმა. ამის შემდეგ ერთხმად იქმნა გამოტანილი შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინა რა სამშობლოდან მიღებული იმფორმაცია და ორატორების სიტყვები შესახებ საოკუპაციო ხელისუფლების მიერ მოწყობილ დემონსტრაციებისა იმ დღესასწაულის გამო, რომელიც გამართეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მე-11 წლის თავზე ვარშავაში ქართველმა ემიგრანტებმა, პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელთა თანადასწრებით, და იღებს რა მხედველობაში:

1) საქართველოს დამოუკიდებლობა, აღდგენილი ერის უზენაესი ნებისყოფის თანახმად 26 მაისს 1918 წ., იქმნა იურიდიულათ ცნობილი მრავალ სახელმწიფოს მიერ, ხოლო რ. ს. ფ. ს. რ-ამ ეს ცნობა აღბეჭდა მას და საქართველოს შორის 7 მაის 1920 წ. დადებულ ხელშეკრულებაში, რის გამო საბჭოთა მთავრობის პროტესტი ქართველ მოქალაქეთა მიერ სხვა და სხვა ქვეყნებში, რომელთა სტუმართმოყვარეობით ისინი სარგებლობენ, დამოუკიდებლობის დღის გამართვის წინაალმდეგ, წარმოადგენს საერთაშორისო დანაშაულს როგორც ამ ქვეყნების, ისე განსაკუთრებით საქართველოს მიმართ, რომლის ტერიტორია მას ოკუპაციის ქვეშ უჭირავს და ფეხქვეშ სთელავს მის მიერ დადებულ ხელშეკრულებას;

2) მოსკოვის მთავრობის ეს პროტესტი, გაუგონარი საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით, მოკლებულია იურიდიულ საფუძველს თვით ს. ს. რ. კავშირის კანსტიტუციის მიხედვით, რომელიც გულისხმობს ვითომ საქართველო დამოუკიდებელი იყოს, თავისუფლათ შესულიყოს საბჭოთა კავშირში და ჰქონდეს მას იქიდან თავისუფლათ გამოსვლის უფლება, რასაც მოსკოვის აგენტები უცხოეთში წამდაუწუმ იმოწმებენ მსოფლიო საზოგადო აზრის შეცდომაში შესაყვანათ;

3) ამგვარათ, საბჭოთა მთავრობის პროტესტები ერთხელ კიდევ ცხად ჰყოფს სრულს წინაალმდეგობას მის სიტყვასა და საქმეს შორის და იმ დაუსრულებელ სიყალბეს, რომელზედაც აგებულია მთელი მისი პოლიტიკა, განსაკუთრებით საქართველოს მიმართ;

4) მოსკოვის მიერ ვარშავაში განცხადებული პროტესტის და საბჭოთა პრესის გააფთრებული კამპანიის შემდეგ საქართველოში მოწყობილი დემონსტრაციები პოლონეთის და მის წარმომადგენელთა წინაალმდეგ, არას გზით არ გამოხატავს სულისკვეთებას ქართველ ერისას, რომელმაც თავის საუკეთესო შვილთა სისხლით დაამტკიცა მისი ერდგულება და თავდადება დამოუკიდებლობისათვის;

5) საბჭოთა მთავრობა ვერავის მოატყუებს ამგვარი ვითომდა «ხალხური» გამოსვლებით, რადგან მსოფლიო საზოგადო აზრი უკვე საკმარისათ გარკვეულია იმის შესახებ, რომ საბჭოთა საბრძანებელში აღმოფხვრილია სიტყვის და მით უმეტეს კრების და მოქმედების თავისუფლება და იქ მყოფი ხალხები მოკლებულნი არიან ყოველსავე საშუალებას თავის მისწრაფების საჯაროთ გამოაშკარავებისა, რაიცა მარტო საბჭოთა აგენტების მონოპოლიას შეადგენს,—საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის საზოგადო კრება აცხადებს უსასტიკეს პროტესტს საბჭოთა მთავრობის მიერ საქართველოს უზენაეს უფლებათა ვერაგულათ დარღვევის და ქართველ ერის ნამდვილ მისწრაფებათა გაყალბების ცდის წინაალმდეგ, უთვლის აღფრთოვანებულ სალამს მრავალტანჯულ მშობელ ერს და უძღვნის ულრმეს მადლობას რაინდი პოლონეთის ერს და პრესას, რომელთაც ერთსულოვნათ დაჰგმეს მოსკოვის დაუშვებელი ჩარევა პოლონელ და ქართველ ერთა ტრადიციულ მეგობრულ ურთიერთობაში.

2. ჟენევაში.

«საერთაშორისო კომიტეტი საქართველოსთვის» აღნიშნავს:

ვარშავაში საბჭოთა მთავრობამ მოინდომა მოეხდინა დიპლომატიური ძალდატანება პოლონეთის მთავრობაზე იმ მონაწილეობის გამო, რომელიც მან მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის საზეიმო დღეობაში; ტფილისში კი იგივე მთავრობა აწყობს მანიფესტაციას პოლონეთის წარმომადგენელის წინაალმდეგ.

ამ ამბავთა გამო, «საერთაშორისო კომიტეტი საქართველოსთვის» აცხადებს:

ქართველი ერი, მას აქეთ რაც საბჭოთა ლაშქარმა, მარტში, 1921 წელს, დაამხო მისი დამოუკიდებლობა, ცნობილი და აღიარებული საერთაშორისო ხელშეკრულებით, მოკლებულია ყოველ შესაძლებლობას იდღესასწაულოს თავის ტერიტორიაზე სასახელო დღენი თავის ისტორიისა. მაგრამ დღემდე გადმოხვეწილი ქართველები, შეხიზნული სხვადასხვა ქვეყნებში, სრულის თავისუფლებით ზეიმობდენ საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნულ დღეობას, რომელშიც მეგობრულ მონაწილეობას იღებდენ ხოლმე იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებიც, რომლებმაც მათ მისცეს თავშესაფარი და რომელთაც ოფიციალური, დიპლომატიური განწყობილება აქვთ საქართველოდან განდევნილ საქართველოს ეროვნულ მთავრობასთან.

დღეს კი ბოლშევიკური მთავრობა არ კმაყოფილდება საქართველოში მყოფ ქართველების დატუსაღებით გეპეუს სარდაფებში, მათი ციმბირში თუ სოლოვკაში გადასახლებით, მათი ქლეტით და დარბევით: იგი სდევნის მძულვარებით ქართველებს უცხო ქვეყნებშიდაც კი, სადაც მათ მოიპოვეს თავშესაფარი, ეძებენ დიპლომატიურ ხრიკებს, რომ ზეგავლენა იქონიონ იმ სახელმწიფოებზე, სადაც შეხიზნული არიან ქართველები, და ცდილობენ, ასტეხონ მთელ დედამიწის ზურგზე სისტემატიური დევნა და გაბახება ამ უბედური დევნილებისა.

გულნატკენი და შეურაცყოფილი ამისთანა საქციელით, რომელიც ძირითად ეწინაალმდეგება როგორც საერთაშორისო სამართლის, ისე ადამიანობის ელემენტარულ გრძნობას, «საერთაშორისო კომიტეტი საქართველოსთვის» პროტესტს აცხადებს ყოველნაირ ძალმონრეობის წინაალმდეგ, რომლისა მსხვერპლი არიან ქართველები; უცხადებს თავის ღრმა თანაგრძნობას წამებულ ქართველ ერს, და მოუწოდებს ქვეყნიერების საზოგადოებრივ აზრს ბოლშევიკების მიერ დატანჯულ და წამებულ ქართველების სასარგებლოდ.

ასეთივე პროტესტები გამოტანილი იქმნა ქართველ დევნილების მიერ ოდენკურში, პრაგაში და სხვაგან.

◆

ხმა სტამბოლიდან

ზოგიერთ ქართველის გადასახლებამ თურქეთის საზღვრებიდან უნებლიეთ გამოიწვია ჩვენ საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა და შეიძლება შიშიც თურქების მომავალ მოქმედების შესახებ. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთ დამოკიდებულების გამორკვევაში გადაჭარბებული ოპტიმიზმი არ ივარგებს, მაგრამ გადაჭარბებული პესიმიზმი სულ დამღუპველი იქნება ჩვენთვის. შეიძლება, ომის წინ თურქეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელთ არ ჰქონდათ სწორი წარმოდგენა საქართველოზე, ძალიან დაბლა აფასებდენ ქართველი ხალხის კულტურულ დონეს, მის პოლიტიკურ მომზადებას და სახელმწიფოებრივი შემოქმედების უნარს. მაგრამ ჩვენი თავისუფლების დროს მათ საშვალება მიეცა გაგვცნობოდენ და ყოვლად შეუძლებელია ეს გაცნობა ჩვენ სასარგებლოთ არ ალაპარაკებდეს მათ. რუსის აგენტი, თუ ბრმა რუსოფილი ქართველი ხშირად გვაშინებს თურქებით. მაგრამ ეს საშიშროება უფრო მოჩვენებითია, ვიდრე რეალური. თურქეთის დღევანდელ მთავრობას არაფერში არ ეტყობა, რომ იმას რაიმე სურვილი ჰქონდეს საქართველოს წინაალმდეგ. თქვათ, სურვილიც რომ ჰქონდეს, ეს მარტო საკმარისი არ იქნებოდა, ვინაიდან საწინაალმდეგო ძალები მას სჭარბობენ საგრძნობლათ.

1. ქართველი ხალხის კულტურული დონე, მისი შეგნება და პოლიტიკური დარაზმულობა იმდენათ მაღალია, რომ თურქეთი არ მოისურვებს მას ანგარიში არ გაუწიოს.

2. საქართველოს საკითხი აღარ არის რუს-თურქის საკითხი, ის საერთაშორისო საკითხია. რომ ჩვენ დიდი ზნეობრივი და პოლიტიკური თანაგრძნობა გვაქვს მთელ კაცობრიობაში, ეს ეჭვს გარეშეა. თუ დღემდე ზოგან მეტად, ზოგან ნაკლებ გვცნობენ, გველაპარაკებიან, გვეხმარებიან, მხოლოდ იმიტომ რომ ჩვენი აღდგენის საკითხი რეალური და აქტუალურია და დაგვიდგება თუ არა ხელსაყრელი მომენტი, კონკრეტულ ფორმას მიიღებს. ასე რომ არას დროს თურქეთი მარტო არ იქნება ჩვენი ჩვეხი საკითხის მოწესრიგებაში. მართალია, დღეს თურქეთს თითქო მეგობრული განწყობილება აქვს ბოლშევიკებთან, მაგრამ თურქები კარგათ ხედავენ, რომ ბოლშევიკური რეჟიმი დიდ ხანს ვერ იცოცხლებს. თუ ამ რეჟიმის მათ არ ეშინიათ, სამაგიეროთ გათვალისწინებული აქვთ აგრესიული რუსეთის აღდგენის შესაძლებლობა და სურთ დაზღვეული იყვნენ ყოველგვარ საშიშროებისაგან.

მათთვის დაფარული არ არის ის სტიქიური რღვევა და ეროვნულ ერთეულებათ ჩამოყალიბების მიდრეკილება, რომელიც დღეს ბოლშევიკურ ტერიტორიაზე სწარმოებს. შეიძლება ეს რღვევა არც ისე მალე დასრულდეს, მაგრამ მისი შეჩერება არავითარ ძალას აღარ შეუძლია. მოსკოვმა დაკარგა ყოველივე საფუძველი ხელმძღვანელი როლი ითამაშოს ბოლშევიკურ ტერიტორიაზე. მისი არსება დამყარებულია ხალხთა გონებრივ გაშეშებაზე და ეკონომიურ გაღატაკებაზე. მაინც მუდამ რუსების ბატონობას სხვა ხალხზე საფუძვლათ ტერორი ჰქონდა. ეს ტერორი ბოლშევიკებმა მხოლოდ გააძლიერეს. რუსეთის ეროვნულ ერთეულებათ დაყოფის საკითხი თურქეთისათვის არ არის მარტო საკუთრივ თურქეთის დაცვის საკითხი. ბოლშევიკურ ტერიტორიაზე ცხოვრობს სამჯერ მეტი მაინც თურქული მოდგმის ხალხი, ვიდრე საკუთრივ თურქეთში. ამიტომაც თურქეთის პოლიტიკოსნი დიდი ყურადღებით თვალ-ყურს ადევნებენ ხალხთა მოძრაობას ბოლშევიკურ ტერიტორიაზე და აზერბეიჯანის, თურქესტანის, ყაზანის, ყირიმის თუ სხვა კუთხეების მოღვაწენი თურქეთში პოულობენ დახმარებას, გამხნევებას, თბილ ბინას, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია იმ რთულ პოლიტიკურ თამაშში, რომელსაც დღევანდელი თურქეთი ეწევა. საკუთარ ჯარში ყავს სამსახურში ორმოციოდე აზერბეჯანელი ოფიცერი. ქართველობასაც არ სტოვებენ თურქები უყურადღებოთ. დღიდან ემიგრაციისა ბევრგვარი დახმარება გაგვიწიეს. მათი წითელი მთვარე ქონებრივათაც კი დაეხმარა ჩვენ ემიგრანტებს. დღესაც ლტოლვილებს საზღვრიდან დაწყებული დახმარებას არ აკლებენ, ხშირათ უფასოთ მოჰყავთ, თუმცა ამ ლტოლვილთა უმრავლესობის პოლიტიკური ღირებულობა არავისთვის გამორკვეული არაა.

სტამბოლელი.

◆

„საქართველოს" რედაქციას

მივიღე პირველი ნომერი გაზ. «საქართველო»-სი. დიდი მადლობა ხსოვნისათვის და მოწოდებისათვის. მიხარის, რომ გაზეთს მიზნად ქართველი ძალების გაერთიანება დაუსახავს. ჩვენს თაობას მეტად მძიმე და პასუხ-საგებ დროს უხდება ცხოვრება-მოქმედება, როდესაც, ვინ იცის, ერთხელ და საბოლოვოთ, უნდა გადაწყდეს ქართველთა ბედი. დიდი სიფრთხილე, შორს მხედველობა და, დროზედ, თავ-განწირვაც არის საჭირო, რომ ჩვენს დიდს, თავსა-და-თავს კითხვას, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, ვნება არა მიეცეს რა.

სწორედ ამისათვისაა საჭირო და სავალდებულოც ყველა ძალების გაერთიანება, მათი ერთის ნების-ყოფით ამოქმედება.

ნამდვილი ვაჟკაცობა სწორედ ისაა, რომ ისტორიულს ხანაში დავივიწყოთ ის, რაც ქართველებს გვყოფს და გვთიშავს, და ვიფიქროთ მხოლოდ მაზედ, რაც გვაერთებს.

ჩვენი გამაერთებელი—ჩვენი ძვირფასი სამშობლო, საქართველოა და ქართველი ერისათვის თავ-განწირვით სამსახური.

ამ საქმეში მეც თქვენთან ვარ.

მთელი ჩემი სიცოცხლე მათთან ვყოფილვარ ვინც ამ ერთობას ქადაგებდა და ემსახურებოდა. ამიტომ გთხოვთ თქვენც მიიღოთ ჩემი სრული თანაგრძნობა და საუკეთესო სურვილები.

გიორგი ქურული.

ქ. გრენობლი.
20 ივნისი 1929 წელი.

◆

ქართული სიძველენი ევროპიელ ანტიქვარებთან *)

4. ბრიტანეთის მუზეუმის მიერ შეძენილი ქართული სანაწილე.

ცნობილმა ბიზანტოლოგმა ლონდონის პროფესორმა ო. მ. დალტონმა იანვარში 1926 წ. მომაწოდა ფოტოგრაფიული სურათი და მოკლე აღწერილობა ერთი ოქროს ქართული მილანქრიანი სანაწილესი, რომელიც შეეძინა ბრიტანეთის მუზეუმს, და შემეკითხა წერილით, მაქვს თუ არა მე ცნობა საიდან წარმოსდგება ეს ნივთი. მე ვუპასუხე, ეს ნივთი პირადათ მე არ მინახავს არსად საქართველოში, მაგრამ ერთი ცნობა, რომელიც მე გადმომცეს, შეიძლება ამ ნივთს გულისხმობდეს მეთქი. და უამბე: როდესაც მე და ალ. სარაჯიშვილი კახეთში მოვგზაურობდით მუზეუმისათვის ნივთების შესაგროვებლად, სხვათა შორის ვესტუმრეთ ყვარელში იური ჭავჭავაძეს და მისგან მივიღეთ მუზეუმისათვის ხელნაწერი ლოცვანი-დაუჯდომელი პატარა ტანისა, რომელიც ქეთევან დედოფალს ხელში ჰქონებოდა წამების დროს და რომელზედაც ემჩნეოდა სისხლის ნაწვეთები, იურიმ გვითხრა, რომ ამ ხელნაწერთან ინახებოდა პატარა გულსაკიდი წმიდა გიორგის ხატი ქეთევან დედოფლისაო, მაგრამ მე არ ვიცი, ეხლა ვისა აქვს ის ნივთიო. იური ჭავჭავაძეს ქეთევან დედოფლის ხელნაწერი მისი ბიძის ნიკო ჭავჭავაძის ქონებიდან ერგო სხვა ნივთებთან ერთად, რომელნიც მან და მისმა ძმამ გაიყვეს.

მე გამოვთქვი მოსაზრება, შეიძლება ეს ნივთი იგულისხმებოდეს იმ გულსაკიდ ხატათ, რომელზედაც იური ჭავჭავაძემ გადმოგვცა მეთქი. მართლა ეს პატარა ოქროს ნივთი ნაწილიან მედალიონის მსგავს ხატს წარმოადგენს და გულზე სატარებლად არის დანიშნული. ამისათვის მას ძეწკვის გასაყრელი ყურე აქვს ზემოთ. წინა პირი მედალიონისა წარმოადგენს წმიდა გიორგის სურათს მრგვალ მედალიონში ოქროზე შესრულებულს მშვენიერის ბიზანტიურის რიგის მილანქარით. წმიდა გიორგი წელზევით არის წარმოდგენილი ამოღებული ხმლით მარჯვენა ხელში და ბერძნულის წარწერით სახელისა (ჰო აგიოს გიორგიოს) მილანქრითვე. ირგვლივ ბიბლიური სტიხია მოყვანილი ბერძნულადვე თეთრის ასოებით. მეორე გვერდზე მილანქრითვე გამოხატულია პატარა სურათი წმიდა დიმიტრისა, მწოლიარე, ლამპარის ქვემოთ, ბერძნულისავე წარწერით (ჰო აგიოს დემეტრეს), ეს პატარა მილანქრიანი ფირფიტი იხსნება და შით მოჩანს მეორე პატარა სახე ოქროთ ნაჭედი, ირგვლივ ერთობლივ მოქცეულია ნაწილები და მათ ზემო აშიაზე ირგვლივ ამოჭრილია მხედრული წარწერა:

|| ქ: წ˜ნდა ქეთ˜ვნ დ˜ფლის ნაწილი || ძელი ჭ˜ტი:.

ესე იგი:

წმინდა ქეთევან დედოფლის ნაწილი, ძელი ჭეშმარიტი.

გვერდზე მედალიონისა ირგვლივ კიდევ მეორე ბერძნული ბიბლიური სტიხია მილანქრითვე შესრულებული. მაგრამ უფრო მოსხო ასოებით ვიდრე პირველი პირის წარწერა.

ამ სანაწილის აღწერილობა სურათებითურთ ო. მ. დალტონმა უკვე დაბეჭდა ნ. კონდაკოვის ხსოვნისთვის მიძღვნილ კრებულში «Seminarium Kondacovianum», Prague 1926, გვ. 275-277.

ჩემს შეკითხვაზედ თუ საიდან შეიძინა ბრიტანეთის მუზეუმმა ეს ნივთი, დალტონმა მაცნობა, რომ ეს სანაწილე მათთვის მიუძღვნია ერთს უმთავრესს ანტიქვარს ლონდონის ანტიქვარებთა შორის, ხოლო მას უნდა ჰქონდეს შეძენილი ვინმე რუსეთიდან ან საქართველოდან მოსულისაგანაო. მეტი ჯერ ამის შესახებ არაფერი ვიციო და თუ შევიტყვე რამე გაცნობებთო.

მე გამოვთქვი მოსაზრება, რომ ეს ნივთი უნდა წარმოადგენდეს გულ-საკიდს ხატს ქეთევან დედოფლისა, წინეთ მასში ალბათ მოქცეული იყო მარტო ძელი ჭეშმარიტის ნაწილი და ქეთევანის წამების შემდეგ მას მიუმატეს ქეთევანის ნაწილიც. თუმცა საჭიროა აღვნიშნოთ, წარწერა ორთავე ნაწილებისა ერთის ხელით არის შესრულებული, მაგრამ ეს გადაკეთების დროს უნდა იყოს ჩადენილი. ყოველ შემთხვევაში თვით წმიდა გიორგის და წმიდა დიმიტრის ბიზანტიური მილანქრის რიგის მედალიონები ძველია, არა უგვიანეს მეთორმეტე მეცამეტე საუკუნისა.

5. ლექსიკონი საბა სულხან ორბელიანისა.

მხედრული ხელნაწერი in folio ყდით, მომდინარეობს მუხრანიანთ ოჯახისაგან. ეს წიგნი მე საქართველოშიაც მქონდა ნახული და აღწერილი, დაბა მუხრანში. ჩემ იქ ყოფნის დროს პატრონი სახლში არ დამიხვდა, შემდეგ როდესაც ტფილისში ვნახე, აღმითქვა შემოწირვა საისტორიო საეთნოგრაფიო მუზეუმისათვის, «მესტუმრეთ მუხრანში და მოგართმევთო», მაგრამ მე ველარ მოვახერხე გამგზავრება მასთან სოფელში. ბოლოს მუხრანის ასულს წიგნი პარიზში მოეტანა, მისგან ხელნაწერი შეუძენია ინგლისელ ანტიქვარს ალენს. ტექსტი ხელნაწერისა არაფრით არ განირჩევა ჩვეულებრივი ხელნაწერებისაგან, რომელნიც მრავლობით მოიპოვებიან ტფილისის წიგნთსაცავებში. ბოლოში ხელნაწერს გარდა ჩვეულებრივი საბას ბიოგრაფიული ცნობებისა და ლექსებისა დართული აქვს შემდეგი ანდერძი გადამწერისა:

აქა ესე დასრულდა, დიდება ღ˜ა, ბუნებით ერთსა.
დასრულდა ლექსთა კონანი
ღირსმან ჰყო ადრე პოვნანი.

1. აღმაწერინა წიგნი ესე სასურ საწყური სატრფოი
2. მსაჯულმან საქართჳლოისამან ბრძენმან ტომ
3. ორბელითმან მზეჭაბუკ. მე უუნდოესსა მონასა
4. სქეს ლარაძესა იოანეს: დალაცა თუ საზოგადოების არა
5. მოსაწონ არს ნაღჳაწ ნაწერი ესე, გარნა შესანდობელ
6. არს ბრალი უსწავლელობისა უკეთუ არა იყოს ნაშვი დაჯსნილობისა:
7. მონა ვარ უპმარი და რომელი იგი თანამედვა ყოფად ვჰყავ:

ეს არს ლექსთა კონანი
ვინც სრულობით ჰყო პოვნანი.

შემკვეთელი ხელნაწერისა მდივანბეგი მზე ჭაბუკ ორბელიანი და გადამწერი იოანე ლარაძე არიან მოღვაწენი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა. იოანე ლარაძე შემდეგ მღვდელი იყო და გადაიცვალა დეკანოზობის ხარისხში ალავერდს 1804 წელს (იხ. ჩემი არქეოლოგიური ექსკურსიები და შენიშვნანი, რუსულ ენაზე, წიგნი IV, გ. 95).

ხოლო მდივანბეგი მზეჭაბუკ ორბელიანი გადაიცვალა 1794 წელს და დამარხულია ტფილისის სიონში.

ამრიგად ხელნაწერი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარშია გადაწერილი.

მაგრამ ხელნაწერი დიდათ საყურადღებოა თავისი მხატვრული ასოებით. თითოული ანბანის ტექსტს თავში უზის ფერადებით დახატული დიდი მეთაური ასო მხედრული. ზოგიერთი ასო შემკობილია სიმბოლიური ფიგურებით და ამიტომ რთული სახე აქვს. მთელი სცენებია წარმოდგენილი. მაგალითათ ასო ჯ-ს თან ახლავს ჯოჯოხეთის სურათი, ტ-ს უწერია: «სული მართალი უბრალოდ იტანჯების». დახატულია მუსულმანის ტირანი, რომლის ბრძანებით ჰგვემენ მართალს, ქრისტიანს. ც არის გამომხატველი ცოდვათა და უწერია: «ვაჲ მწერალთა უკეთურებისათა». ჰ-ს უწერია: «ჰა უგვაროჲ ამის გაცემა» და სხვა. ასოების შემკობილება ზოგჯერ დამთავრებული არ არის. მაგალითად ფერადებით არ არის შესრულებული ასოები: ქ. ყ, შ, წ და ჵ.

ერთი ნიმუში ამ ლექსიკონის მხატვრული მეთაური ასოის, სახელდობ ტ ალენმა მოათავსა ახლად გამოსულს თავის საანტიქვარო კატალოგში. თუმცა ეს ასო აქ ფერადებით არ არის წარმოდგენილი როგორც დედანში, მაგრამ მაინც საუცხოვოთ არის შესრულებული და კარგს შთაბეჭდილებას ახდენს. დიდ სამსახურს გაგვიწევს ალენი რომ ყველა ასოს ამრიგათ გამოსცემდეს ერთს ალბომად.

6. პატარა გულსაკიდი ხატი ღვთის მშობლისა ნაწილებიანი, ოქროსი, ჩვილედი.

მომდინარეობს ივანე მალხაზის ძის ანდრონიკაშვილის ოჯახისაგან. ღვთის მშობლის სახე ნაჭედი წელს ზევით არის წარმოდგენილი ძითურთ. წარწერა სახელისა ხუცურია: ყ˜დ წ˜ა. ხოლო მეორე გვერდზე მხედრულად აწერია:

ჱი ძელო ცხოველს მყ
ოფელო: და: წმინდანო მო
წამენო შეგამკე მე იმერ
თა მეფის სოლომონის:.
დამ ბატონისშვილმა მა
რიამ რათა მრჩობლსავე შენ
თა ცხოვრებასა მფარველ
მექმნა ძითა და ასულითა ამინ.

აქ მოხსენებული მარიამ ბატონიშვილი არის იმერეთის მეფის სოლომონ II და, რომელიც წინეთ წერეთელს ჰყავდა ცოლად და შემდეგ 1795 წლიდან მალხაზ ანდრონიკაშვილს. მალხაზის და მარიამის შვილი იყო ივანე «მალხაზიჩად» წოდებული, ცნობილი ღენერალი, რომელმაც ყირიმის ომის დროს მდინარე ჩოლოქის პირზედ სასტიკად დაამარცხა ომარ ფაშის ლაშქარი.

ხელობა ხატისა ქართულია, მაგრამ დაცემის ხანისა და ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს. ეს ხატი მე მაჩვენა პირველად იოსებ დადიანმა, პატრონი ყიდისო მითხრა. შემდეგ გადაეცათ რევაზ გაბაშვილისათვის გასასყიდათ და მისგან უყიდია ბ-ნ გამრეკელს, გიორგი ყაზბეგის სიძეს.

7. სახარება კათალიკოზ დომენტი მესამისა.

ბ-ნ გამრეკელის სახლობას უნდა ჰქონდეს კიდევ პატარა ტანის ხელნაწერი სახარება, დომენტი III კათალიკოზისა, რომელიც ყაზბეგიანთ ოჯახიდან მომდინარეობს. სახარება მინიატურულია, ოქროს ყდით, ორ სვეტად ნაწერი ძლიერ თხელს გაეშვილს ქაღალზე ერთობ წვლილის, მაგრამ კარგათ გასარჩევის ნუსხა ხუცურით. ეს სახარება ოცდახუთმეტი წლის წინ წერაკითხვის საზოგადოების მუზეუმმა შეიძინა აწ განსვენებულის მწერლის ალექსანდრე ყაზბეგისაგან. მაგრამ ერთი წლის შემდეგ ჩვენმა მოღვაწემ ღენერალმა გიორგი ყაზბეგმა განაცხადა, რომ ეს სახარება საგვარეულოა და ალ. ყაზბეგს არ ჰქონდა უფლება გაეყიდაო და მოითხოვა დაბრუნება ხელნაწერისა. წერაკითხვის საზოგადოების გამგეობამ ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით (მაშინ მეც გამგეობაში ვიყავი) ეს სახარება დაუბრუნა გიორგი ყაზბეგს. დაბრუნების წინ მე ავღწერე ხელნაწერი. აღწერილობა ეხლა ხელთ არა მაქვს, მაგრამ კარგათ მახსოვს, რომ ვრცელ ბოლოსიტყვაობაში აღნიშნული იყო ვინაობა გადამწერისა და ქება პატრიარქ-კათალიკოსის დომენტი III, რომლის ბრძანებით და ჯერ ჩინებით გადაეწერათ სახარება მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში. თარიღი აღნიშნული იყო კათალიკოს დომენტის ინდიკტიონის მიხედვით. ესე იგი დასაწყისიდან მისი კათალიკოსობისა, რომელსაც ჰქონდა ადგილი 1704 თუ 1705 წელში. ამ რიგათ ეს პატარა ტანის სახარება ეკუთვნოდა დომენტი III კათალიკოსპატრიარხს. ცნობილია, რომ ასეთი წვლილი ხელით წერა და მთელი სახარების ტექსტის მოქცევა მცირე ტანის ხელნაწერში თავის განვითარების უაღრეს წერტილს სწორედ ამ დროს აღწევს, ესე იგი მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან. დომენტი III სახარება ერთი საუკეთესო რიგის წარმომადგენელი იყო ასეთი სახარებისა. ყველას კარგათ მოეხსენება და ყველას კარგათ გვახსოვს, თუ როგორი გულმოდგინე და გულწრფელი საზოგადო მოღვაწე იყო გიორგი ყაზბეგი. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ილია ჭავჭავაძის შემდეგ ის მუდმივი თავმჯდომარე იყო წერაკითვის საზოგადოებისა და დიდი მოამაგე ყველა ჩვენი საკულტურო დაწესებულებათა. ერთხელ როდესაც მის კაბინეტში თვალი მოვკარი დასახელებულ სახარებას, ვუთხარი, რატომ არ აძლევ წერაკითხვის საზოგადოების წიგნთ საცავს მეთქი, მან მიპასუხა, სად წავა, ბოლოს ხომ მაინც იქ მივაო. ეხლა კი ვშიშობ იქ მივიდეს. ჩვეულებრივ ასეა, კაცის სიცოცხლე მოკლეა, რასაც სიცოცხლეში ვერ მოასწრებს მისი განძრახვანი სიკვდილის შემდეგ იშვიათად სრულდება. ჩვენ გიორგი ყაზბეგის თანამედროვენი და მისი მეგობარნი დიდათ გულ-ნაკლულნი დავრჩებით, თუ წერაკითხვის საზოგადოების თავმჯდომარის სამუზეუმო წიგნი, მისი განძრახვის წინააღმდეგ, დაეკარგა ქართველ საზოგადოებას. ეს გიორგი ყაზბეგის ხსოვნას მეტად ავნებს.

ექ. თაყაიშვილი.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

«ძველი და ახალი მემკვიდრეობა» ალ. ასათიანისა.

წიგნი შეიცავს 224 გვერდს. პირველი ნახევარი ამ წიგნისა ამტკიცებს, რომ ილია ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ყიფიანი, გაბრიელ ეფისკოპოზი—თურმე ქართველი მოღვაწენი ყოფილან და სამსახურიც გაუწევიათ საქართველოსათვის. ამ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ ავტორი გადადის ნოე ჟორდანიას ლანძღვა-გინებაზე,—ეს წიგნის მეორე ნახევარია.

სამოციან წლების მიმოხილვის შემდეგ ავტორი პირდაპირ გადადის ომის დაწყების ხანაში, თითქო ამ ხანის წინ, 10-15 წლის განმავალობაში, არა გაკეთებულა-რა საქართველოში: არც ავტონომიის საკითხში, არც ერობის შემოღების შესახებ, არც სამართლის სფეროში, არც სახალხო განათლებაში. ჩვენი პარტიაც, რასაკვირველია, არ არსებობდა. უმთავრესი მიზეზი ამ დავიწყებისა ალბათ ის არის, რომ ამ პერიოდში ბ. ასათიანი თვითონ იყო, თუ არა ვცდებით, მენშევიკი. მდგომარეობა ძნელი აღმოჩნდა: სხვისთვის გამზადებული ლაფი შეიძლება თვითონ დასხმოდა თავზე.

ავტორი ისე დაბრმავებულია რომ ვერც კი ჰხედავს საქართველოს დამოუკიდებლობის ხანას. 26 მაისის დეკლარაცია, მისი ძირითადი სახელმწიფოებრივი პრინციპები, საყოველთაო არჩევნები პირველათ მომხდარი საქართველოში, დამფუძნებელი კრება და მის მიერ დამუშავებული და დამტკიცებული კონსტიტუცია, სულ ეს უდიდესი მომენტები ეროვნული ცხოვრებისა, რაც მიუდგომელი პოზიციაა ჩვენი ბრძოლისათვის, სულ ეს ისე აქვს ავტორს მიჩქმალული და მიფუჩეჩებული, თითქო მათ არავათარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს.

— სულ ეს კომედია იყო! ამბობს ჰანრი ბარბიუსი.

— სულ ეს «გაღატაკებული აზნაურების» მასხარაობა იყო! უსწორებს ბარბიუსს ბ. ასათიანი!

სამწუხაროთ, ბ. ასათიანი უფრო შორს მიდის. მისი აზრით ეხლანდელი ეროვნული ფრონტი—ეროვნული ღალატია. გამოდის, მოღალატე ყოფილა არა მარტო სოც.-დემ. პარტიის წევრები, არამედ ფედერალისტებიც და სოც.-რევოლიუციონერებიც, განსაკუთრებით ეროვ. დემოკ. პარტიის წევრები. რათა? რა დავაშავეთ? ჩვენი დანაშაული ის ყოფილა. რომ ჩვენ შევდივართ საქართველოს შელახულ უფლებათა აღსადგენად, ეროვნულ ფრონტში, რომელშიდაც მოქცეულია ეროვნული მთავრობა, დღეს დღეობით ერთად ერთი კანონიერი გამომხატველი ეროვნული სუვერენობისა.

მართალია ამ დებულებას ზოგი არ იზიარებს. ზოგი იძახის, რომ ამ მთავრობის მანდატსაც არ აქვს მნიშვნელობაო. მაგრამ ვინ იძახის ამას? ამას იძახის სტალინი, კარახანი, ლიტვინოვი, კაშენი, ბარბიუსი და.:. ალ. ასათიანი! მშვენიერი კომპანიაა!

ამბობენ, ეს ფრონტი რესტავრაციას ემსახურებაო. დიაღ, ჩვენ ვემსახურებით რესტავრაციას, მაგრამ რისა? საქართველოს კონსტიტუციისა! კონსტიტუციის რესტავრაცია ნიშნავს საქართველოს სუვერენობის აღდგენას, მაშასადამე ხალხის დაკითხვას, ახალ არჩევნებს და სახელმწიფო ცხოვრების მოწყობას თანახმად ეროვნულ ნებისყოფისა...—ვინ არის ამის წიაალმდეგ? ბ. ალ. ასათიანი, რომელიც ბევრსა ჰყვირის დემოკრატიზმზე, მაგრამ, როგორც ჰხედავთ, დემოკრატიზმის არა აცხია რა.

შევწყვიტოთ ამ სამწუხარო მოვლენაზე ლაპარაკი და მივანდოთ საზოგადოებრივ აზრს მისი ღირსეული დაფასება.

მეთვალყურე.

გ ა ს წ ო რ ე ბ ა

«საქართველოს» პირველ ნომერში დაბეჭდილი იყო მოწოდება ეროვ.-დემ. პარტიის ახალგაზდათა კომიტეტისა. ამ მოწოდებას ხელს აწერს «მდივანი გრ. თადეიშვილი»; უნდა იყოს: მდივანი გრ. ნადარეიშვილი.

Rédaction et Administration : 3, rue du Sabot, PARIS (VIe)
Georges GVAZAWA

Gerant : G. MALLET.

Imprimerie « La Gazette de S.-et-O. » — Arpajon

---

*) იხ. «საქართველო» № 1.